ეროვნული ბიბლიოთეკა

სპორტიელი

სპორტული გაზეთი | გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან | ორშაბათი, 8 სექტემბერი 1997 №106 (471) | ფასი.30 თეთრი

ეროვნული ბიბლიოთეკა

დღეს იტალია ჩამოვა

იმათ 7:0 მოიგეს, ჩვენებმა — 6:0

გუშინ დიღმის ბაზაზე ღია კარის დღე იყო: ჟურნალისტები დაუბრკოლებლად შეგვიშვეს და ვარჯიშზე დასწრების ნებაც გვიბოძეს. ჩვენც ჩუმად, თითქის შეუმჩნეველად ვაკეთეთ ჩვენი საქმე და ნაკრებმაც ნაყოფიერად იშრომა. მართლაც არაფერი შეედრება ასეთ ცივილიზებულ ურთიერთობას.

შეკრებაზე ყველა გამოძახებული ჩამოვიდა. გუშინ საღამოს ვარჯიში რიგიანი მოთელვით დაიწყო და ორმხრივი თამაშით გაგრძელდა. ყოფილმა ნაკრები ორად დაანაწილა. ერთნი მინდორზე დატოვა და „დინამო“ დაუპირისპირა, დანარჩენები კი გაგზავნა დარბაზში, სადაც მათი საფუძვლიანი „დამუშავება“ გია გეგუჩაძემ და იური სტადუხინმა ითავეს.

ნაკრების და „დინამოს“ პირველი ნახევარსაათიანი შეპაექრება პირველთა გამარჯვებით დასრულდა. ერთადერთი გოლი შოთა არველაძემ გაიტანა.

მეორე ნახევარი საათი ისევ „დინამოს“ და დარბაზში ნავარჯიშევ ნაკრების წევრებს დაეთმოთ. ამჯერად ნაკრებმა მიხეილ ყაველაშვილის ჰეთ-თრიქით მოიგო, ბოლო ნახევარი საათი კი ცვლილებები ორივე მხარეს იყო და კვლავ ნაკრებმა იმარჯვა შოთა არველაძის ორი გოლის წყალობით.

სხვათა შორის, ბიჭებს ჩინებულ ხასიათზე ყოფნა ეტყობათ და ხალისიანადაც ივარჯიშეს, მწვრთნელები კი, ცხადია, შეფიქრიანებულნი ჩანან.

ვარჯიშის შემდეგ ეროვნული გუნდის დასტაქრებს მივაკითხეთ და ფეხბურთელების ჯანმრთელობის საქმე გამოვიკითხეთ — ქეცბაიას სიცხე დაუცხრა, ხვალ სრულ ჯანზე იქნება, ქინქლაძეს ფეხი წესრიგში აქვს, შელიას არაფერი აწუხებს. მოკლედ, ყველა ჯანზეაო, დაგვამშვიდეს. ერთი ეგაა, ქეცბაია ოციოდ წუთით ადრე გაათავისუფლეს — მწვრთნელებმა ნასიცხარს ჯანი დაუზოგეს.

ეს ყველაფერი კარგი, მაგრამ ერთი რამ მაინც ვერ გავიგეთ. კერძოდ: თავიდან ასე ვიცოდით, ჯამარაული ნაკრებშია გამოძახებულიო, გოჩამ კი „დინამოსკენ“ ითამაშა. მონდომება და თავგანწირვა ემჩნევა, მაგრამ არის თუ არა შეკრებაზე, ვერავინ გვითხრა.

და ბოლოს: გუშინ ეროვნული გუნდის კაპიტნის კახა ცხადაძის დაბადების დღე იყო. პიპინო ბოლო ხანს ცოტა გულგატეხილი კია, მაგრამ ის კაცი არაა, ეს მოედანზე დაეტყოს. აკი არც აღელვება ეტყობა, ასე რომ, იმედია, კაპიტანი თავის საქმეს ჩვეულად გაკეთებს.

კიდევ ერთი გუშინდელი იუბილარი ნუგზარ ლობჟანიძე ამ ჯერზე ნაკრებს ვერ ეხმარება ორი გაფრთხილების გამო, მაგრამ ბიჭების მომზადებაში თავისი წვლილი შეაქვს. სკილეტა ორმხრივი თამაშისას დინამოელთა რიგებში იყო და ნაკრების თავდამსხმელებს მორიდებით ეომებოდა.

მამუკა ძვანტალიანი

გუშინვე იტალიის ნაკრებმა თბილისში წამოსვლამდე ბოლოჯერ გაივარჯიშა და თავის საწვრთნელ ბაზაზე მავანი სამოყვარულო გუნდი 7:0 დაამარცხა. გოლები დი მატეომ (33), კაზირაგიმ (43), ინძაგიმ (48, 74, 88) და ვიერიმ (71, 86) გაიტანეს. პირველ ტაიმში ჩეზარე მალდინიმ ნაკრები ასეთი შემადგენლობით ათამაშა: **პერუცი, პანუჩი, ფერარა, ნესტა, მალდინი, დი ლიეთო, დინო ბაჯო, კონტე, დი მატეო, კაზირაგი, ძოლა.** მეორე ტაიმში პერუცის, ნესტას, მალდინის, დი ლიეთოს, დინო ბაჯოს, კონტეს, კაზირაგის და ძოლას ნაცვლად **პალიუკამ, კანავარომ, ტორიზიმ, ლომბარდომ, ფუზერმა, რობერტო ბაჯომ, ვიერიმ და ინძაგიმ** ითამაშეს.

გუშინ რუსთავში: ლაშა ჯაკობიამ (მარჯვნივ) გაათანაბარა, მერე კი...

ჯაკბომბია!

ჯაკობიასი. 17 წლის ქართველი მასზე უფროს მეურვე მცველებს ისე გააბითურებდა ხოლმე, სტუმართა კართან აუცილებლად რაიმე ხიფათს ქმნიდა. მის გოლზე კი მხოლოდ იმის თქმა შეიძლება, რომ ენით აუწერელი სილამაზისა იყო.

მოვლენებს კი გავუსწარით, მაგრამ პირველი ტაიმის დარჩენილ დროში და შესვენების შემდგომ 25 წუთში მაინცდამაინც საინტერესო არაფერი მომხდარა. 71-ე წუთზე ჩვენს კარს არავითარი საფრთხე არ ემუქრებოდა: ბურთი აბრამიძემ მიიღო, უდაოდ ნიჭიერი მცველი, ალბათ გამოუცდელობის გამო, კარის მახლობლად დაიბნა, რითაც უმალ ისარგებლა დრაგანმა, მუტუს გადააწოდა, თავად თავისუფალი ზონა მოძებნა და მუტუს გამაზომილმა პასმაც არ დააყოვნა. ამანაც მშვიდად გააჩერა, კარს ახედა და გაიტანა კიდეც. კოპალეიშვილმა აფციაური შეცვალა და ახალშესულმა გველესიანამაც გაამართლა — მარცხენა ფლანგის სრული ბატონ-პატრონი გახდა. ჩვენებმა უკანასკნელი ძალა მოიკრიბეს და თითქის მთელი გუნდით შეუტიეს მეტოქეს. მოედნის ცენტრიდან გრძელი პასი მიაწოდეს ფარქოსაძეს, გავრილესკუმ, მართალია, ვარდნაში ჩაჭრა გადაცემა, მაგრამ ბურთი იქვე გაჩერდა, მას პირველმა ჯაკობიამ მიუსწრო, ერთბაშად ოთხ მცველს, მათ შორის გავრილესკუსაც რეტი დაასხა და ის ულამაზესი გოლი გაიტანა, ენით აუწერელი რომ ვუწოდე. მისმა დახლეებით 25 მეტრიდან დარტყმულმა იაკას მერ ლევერკუზენში გატანილი მომგონ.

ქართველებს სტიმული მიეცათ, რუმინელთა გუნდი კი დაიბნა. ამასობაში ექვსი წუთიც გაილია და სტუმრები ისევ გავრილესკუმ გაწირა — კვარაცხელიას ჩაწოდებული საჯარიმოში ხელით შეაჩერა, რინიაკსაც ბევრი აღარ უფიქრია და ხელი პენალტის ნიშნულისკენ გაიშვირა. კვარაცხელიამ აუღებელი დაარტყა. გამარჯვებამდე ხუთი წუთი რჩება, კვარაცხელიას მეორე გაფრთხილებისთვის აძევებენ, რუმინელებმა ბათიაშვილის კარს გააფრთებით შეუტიეს. ქართველებიც გამეტებით იცავენ თავს. მსაჯის ბოლო სასტვენამდე რამდენიმე წამით ადრე კი ღმერთმა ჩვენსკენაც გამოიხედა — ბათიაშვილმა ორჯერ სასწაულებრივად გვიხსნა...

...მატჩი არაჩვეულებრივად დამთავრდა. თუმცა, არა კოპალეიშვილის ნაკრებისთვის, არამედ ჩვენთვის — თითქის წაგებული მატჩი მოვიგეთ! მოვიგეთ და გამარჯვებულები მაკედონიაში მივდივართ...



რუსთავი
„ფოლადი“
7 ოქტომბერი

საქართველო 2:1 რუმინეთი

საქართველო: ბათიაშვილი, აბრამიძე, შაშიაშვილი, წერეთელი, ხარებავა, ფბრალიძე (დიღმელაშვილი 50), ახალაძე (კორღალიძე 46), კვარაცხელია, აფციაური (გველესიანი 75), ჯაკობია, ფარქოსაძე

რუმინეთი: ჰომანი, გიფრილაკუ, სფინი, კოჯალაზარი, ალექსა (ფოიშილა 75), იოჯა, ნიაგა (იონი 55), დრაგანი, მუტუ, ნემილიანუ

0:1 დრაგანი (71), 1:1 ჯაკობია (79), 2:1 კვარაცხელია (85ჯ)

გაფრთხილება: კოჯ, აბრამიძე, კვარაცხელია, მუტუ

გაძევება: კვარაცხელია (88)

მსაჯი: ჯ. რინიაკი (სლოვაკეთი)

კობა ინასარიძე რუსთაველიდან

18 წლამდელთა ნაკრებმა გამარჯვებით დაიწყო! უფრო სწორად, კიდევ ერთი მატჩით გაიხანგრძლივა ოფიციალურ თამაშებში დაუმარცხებელი სერია.

გუშინ რუსთავში ვახტანგ კოპალეიშვილის ბიჭებმა გვიჩვენეს, რა შედეგი მოაქვს თავდადებასა და მონდომებას.

18 წლამდელთა ნაკრებმა არად ჩაგდო ჩვენთვის ესოდენ ყბადაღებული პირველი გოლის ფაქტორი. სულ 6 წუთი დასჭირდათ ჩვენებურებს, რათა ევროპის ჩემპიონატის მე-3 შესარჩევ ჯგუფში პირველი გამარჯვებისთვის მიეღწიათ.

კოპალეიშვილის ნაკრებმა გულნატკენ ქომაგებს ოდნავ გამოუკეთა ხასიათი.

ყველაფერი კი ჩვეულებრივად დაიწყო. ორივე გუნდი ფრთხილობდა, თამაშის გამწვავებას ერიდებოდა. თუმცა, პირველი სახიფათო მომენტი უკვე მეორე წუთზე შეიქმნა ჰომანის კართან: ჯაკობია ორ რუმინელ მცველს შეებრძოლა და თავით დაუგდო ფარქოსაძეს, ამანაც საჯარიმოს კუთხიდან დაურტყა მეკარეს, მაგრამ ააცილა. იქვე სტუმრებმა წამოიწყეს საპასუხო იერიში, ნემილიანუმ ჩაუწოდა დრაგანს, რომელიც მცველებმა ბათიაშვილის ცხვირწინ მარტოდ დატოვეს. საბედნიეროდ, მისი თაური ხარიხას გადასცდა. ამ მომენტიდან მოყოლებული უპირატესობას რუმინელები ფლობდნენ. ისინი უფრო დინჯად და გონივრულად აგორებდნენ ბურთს, ჩვენები კი დაბნეულები ჩანდნენ. სტუმრებს აშკარად ეტყობოდათ, ერთმანეთს შეგუებულ-შეზრდილები რომ იყვნენ, როგორი საქმეა — 14 წლის ასაკიდან დღემდე ერთად არიან. მოკლედ, საწყისი ოცი წუთი რუმინელებისა იყო. მათ ერთი-ორჯერ სახიფათოდ დაურტყეს ბათიაშვილს, მაგრამ სახეიროს ვერაფერს მიაღწიეს. ტაიმის მეორე ნახევარში უკვე ქართველები გაბატონდნენ მთელ მოედანზე. ვეარად მუტუ მარტო მისი ოსტატობის ნახვად ღირდა ეს 90 წუთი, ჩვენგან კი

ᲬᲣᲮᲔᲚ

ᲩᲝᲒᲑᲣᲠᲗᲘ

ამერიკის ღია ჩემპიონატის ფინალში შვეიცარელმა მარტინ ჰინგისმა 6:0, 6:4 დაამარცხა ამერიკელი ვინუს უილიამსი.

დეპარტამენტი ცალკაროობანას თამაშობს

ადამიანებს ერთმანეთზე საჯაროდ ძვირის თქმა უჭირთ. ჩვენშიც უფრო ვიწრო წრეში, ზურგსუკან თქმას ამჯობინებენ. ამდენად, გასაკვირი იყო, შარშან, ნოემბრის ბოლოს მანუჩარ მაჩაიძემ პრესკონფერენციის გამართვა რომ გადაწყვიტა და თემაც წინასწარ განაცხადა. პარლამენტის სპორტის ქვეკომიტეტის თავმჯდომარემ ფეხბურთში არსებულ განუკითხობაზე კი ისაუბრა, მაგრამ ფეხბურთის ფედერაციასთან დაპირისპირება თავად არ ისურვა, სპორტის დეპარტამენტს უსტარი მისწერა და ამით ხელები დამბანაო, თქვა. მას შემდეგ ზუსტად ცხრა თვე გავიდა. ცხრა თვე დასჭირდა სპორტის მამათა შორის იმ აზრის მომწიფებას და შობას, რომ ფედერაციას სისხლი უნდა გამოუშვან და ან ისე გარჯა აიძულონ, როგორც თავად სურთ, ანაც მის პარპაშს ბოლო მოუღონ.

შაბათს სპორტის დეპარტამენტის კოლეგია შეიკრიბა. კოლეგიის სურვილთა გულწრფელობაშიც ეჭვი პირველად მაშინ შეგვეპარა, როცა კოლეგიაზე ჟურნალისტებიც მიგვიწვიეს. არა, კარმოკეტილებს ფანჯრიდან ძრომა სულაც არ გაგვტკბობია, უბრალოდ... უბრალოდ, კოლეგიამ ფედერაციისთვის ყურის აქაჩვაც კი პრესას დაუბრალა; უბრალოდ, სპორტდეპარტამენტის ჩარევა, თურმე, პრესას მოუთხოვია; უბრალოდ, ბოლო დროს დახვავებულ სკანდალებს ჩარევა დაუჩქარებია, თორემ, ისე, კოლეგიის ლამის ყველა წევრი ახალკაცისა და კვინიკაძის პირადი მეგობარი ყოფილა და მათ წინააღმდეგ აღდგომა აქამდე არც უფიქრიათ. უბრალოდ, ახლა, როცა მასმედიამ ამ სპორტის დეპარტამენტი უმოქმედობისთვის გააკრიტიკა, კოლეგიის ყველა წევრს ვიზა მიეცა ფედერაციის ნაკლზე სალაპარაკოდ. და იყო ლაპარაკი ლამის ყველაფერზე, პირველი ყრილობიდან დაწყებული და სოლოლაშვილის საქმით დამთავრებული.

სამართლე გითხრათ, ზოგისგან განსხვავებით, ქართულ პრესას ბოლომდე ვეცნობით და სპორტის დეპარტამენტის კრიტიკა ამ კუთხით არსად ამოვეკითხავს. თუნდ ასე ყოფილიყო, ისე გამოდის, რომ დეპარტამენტი თავის თავს იცავს და არა ქართულ ფეხბურთს — უუნარო ფედერაციისგან. დეპარტამენტი ფხიზლობს, რაკი თავდასაცავად თავადაც მისცემია საქმე. აკი ფედერაციას შეუხსენებია მისთვის ხახალეიშვილის ვერაწონვის ამბავი. ამაზე კოლეგიას პასუხი მზად ჰქონდა: ჩვენ ამ ფაქტმა დაგვამწუხრა მაინც, დაუფარავად ვიძიეთ და სირცხვილისჭამას სეოკის ვიცეპრეზიდენტიც შევწირეთო... აქ წერტილიც დისმებოდა, საქმე სხვაგვარად რომ არ ყოფილიყო — არცერთი ვიცე-პრეზიდენტი არავის გაუთავისუფლებია. უბრალოდ, პაატა ნაცვლიშვილმა ატლანტური კრახი ითაკილა და თავად გადადგა.

გუშინწინდელი კოლეგიის მთავარი და ერთადერთი თემა ფეხბურთის, უკეთ, სპორტის ამ უპოპულარესი სახეობის ფედერაციის საქმიანობა იყო და არა ხახალეიშვილის საქმის გარკვევა. ამიტომ კოლეგიის არცერთ წევრს ფედერაციისადმი უარყოფითი დამოკიდებულების გამოხატვა არ დაზარებია და ყველამ, თითომანმ, ორიგინალური ფაქტი მოიხმო მის დასაკნინებლად. თითქოს საკუთარი არ ქმაროდეს, ფედერაციას სხვისი ცოდვებიც მიაწერეს, აქაოდა, „ცხუმი“ დაშალა და პოლიტიკური სიბეცე გამოიჩინაო. სიბეცისა რა მოგახსენოთ, მაგრამ საქართველოს სპორტის დეპარტამენტის კოლეგიაზე რუსულად მოლაპარაკე კაცს სიელმის შესამოწმებლად მაინც რომ ერგება ოკულისტთან მისვლა, უდაოა. შეუიარაღებელი თვალითაც კარგად ჩანდა, დეპარტამენტს რა სურვილიც ამოძრავებდა და საკუთარ სურვილთა აღსრულების გზებზე ვეროვანი წარმოდგენა რომ არ ჰქონდა. სურვილი უფრო ბოლოს გაცხადდა, ფეხბურთის ფედერაციასთან მიმართებაში საკუთარ უფლებათა უცოდინარობა კი — უფრო ადრე. კოლეგიის ერთ-ერთი წევრის მოთხოვნის მიუხედავად გულწვილები ნუ ვიქნებითო, დეპარტამენტმა ფედერაციას კიდევ ერთი შანსი მისცა. ოღონდ ეს უკვე გულწვილობაზე მეტად გაურკვევლობის ბრალი იყო, რადგან დეპარტამენტს, ბევრს რომ ცდილა, მხოლოდ ფიფას კონგრესის დებულება ჩაუგდია ხელთ და არა ფიფა-უეფას წესდება, სადაც ეროვნული ფედერაციების საქმიანობაში ჩაურევლობაა დაკანონებული. დეპარტამენტს კი ჰგონია, რომ მას ჩარევის უფლება აქვს, მაგრამ, რაკი ვერ არ ერევა, ჩანს დარწმუნებული არაა.

კოლეგიის ლამის ყველა წევრს, ზუთივე თქმით, ადამიანური მომენტი ბოჭავდა — კოლეგიას ხომ ფედერაციიდან მოწვეული არცერთი წევრი არ დასწრებია. სპორტის მესვეურებს ფედერაციის წარმომადგენელთა დაუსწრებლად მათზე საუბარი, თითქოსდა, უჭირდათ და შაბათის სხდომაც ცალკაროობანას თამაშად მიაჩნდათ, მაგრამ, სიმართლე რომ ვთქვათ, კარგად ვერც ამათ ითამაშეს, რადგან ერთი პენალტის ტოლი სამი კუთხურიც ვერ მოიხვეჭეს. ადამიანურ მომენტთა გათვალისწინება სპორტის დეპარტამენტის თავმჯდომარემ კახი ასათიანმა დაიჩემა, აქაოდა, ნოდარ ახალკაცი შეუძლოდაა და გადამჭრელ ზომებს მაგიტომაც არ მივმართავთო. ახალკაცის ჯანმრთელობის მდგომარეობა ისე მუსირებდა კოლეგიაზე, რომ მისი გამართვის ზნეობრივობაც ეჭვქვეშ დადგა — დაბაბუნებულ მეტოქესთან დაჭიდება ხომ ვერაფერშვილი ვაჟკაცობაა.

კოლეგიამ გადაწყვეტილება ერთხმად მიიღო, თუმცა კი ისე, რომ პროექტისთვის კენჭი არც არავის უყრია, მხოლოდ კახი ასათიანმა წაიკითხა ის ტექსტი, რომელსაც აქვე ხედავთ. თან დაურთეს — საგანგებო ყრილობა, შესაძლოა, ზუსტად ორ თვეში ვერ შედგეს, კაცნი ვართ, ვინ იცის, ჭირია, ლხინია, წინ რა გველისო.

ბოლოს ასათიანმა ფედერაციის ფინანსურ მდგომარეობაზეც ჩამოგვა სიტყვა და გაგვიმეორა, ფეხბურთის ფედერაცია ერთ-ერთი უმდიდრესი ფედერაციაო. იკითხა, გერმანელთაგან ტელეტრანსლაციაში გადახდილი 4 მილიონი მარკა სად წავიდაო და დასძინა, ფედერაციას ფინანსური ანგარიშის გამოქვეყნებასაც მოვთხოვთ და, თუ არ დაგვყაბულდა, მასალებს პროკურატურას გადაცემთო.

ზემოთთქმულით დეპარტამენტმა მორიგი ეჭვი შვა. ცხადია, დაუმორჩილებელი ფედერაცია, თანაც უმდიდრესი, ძნელი ასატანია. ფეხბურთმა ერთხელაც დაადასტურა, რომ არამარტო სპორტული, ფინანსური და პოლიტიკური ამბიციების ნავსაყუდელია და მასზე კონტროლზე არავინ იტყვის უარს.

ფედერაციის მხრიდან სასწრაფო პასუხი დიდად მოსალოდნელი არაა, მაგრამ დეპარტამენტის შეტევაც პასუხს ითხოვს.

მასტანგ გზიტაძე

საქართველოს სპორტის დეპარტამენტის კოლეგიის დადგენილება

ქვეყანაში ფეხბურთის განვითარების მხრივ არსებული მდგომარეობა და საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის მიერ ამ მიმართებით წარმოებული მუშაობა ჩათვალოს უკიდურესად არადამაკმაყოფილებლად.

კატეგორიული წინადადება მიეცეს საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის აღმასკომს, სასწრაფოდ მოიწვიოს ფედერაციის საგანგებო, რიგგარეშე ყრილობა, რომელზედაც დეტალურად იქნება გაანალიზებული არსებული მდგომარეობა, მისი გამომწვევი მიზეზები და დაისახება კრიზისიდან გამოსვლის კონკრეტული ღონისძიებანი.

დაისვას საკითხი საქართველოს იუსტიციის სამინისტროს, როგორც მარეგისტრირებელი ორგანოს წინაშე, სპორტის დეპარტამენტთან ერთად მონაწილეობა მიიღოს საგანგებო ყრილობის მომზადების საქმეში, რათა იგი ჩატარდეს არსებული წესების სრული დაცვით. ფეხბურთის ფედერაციის მხრიდან ზემაღლინშნული წინადადების გაუთვალისწინებლობის შემთხვევაში საქართველოს სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტი დაუყოვნებლივ გამოიყენებს სპორტის შესახებ საქართველოს კანონის მეორე თავის, მეოთხე მუხლის, „ლ“ პუნქტს.

ᲛᲐᲓᲚᲘᲡ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲚᲘᲡ ᲞᲡᲘᲥᲝᲚᲝᲒᲘᲡ ᲞᲠᲝᲑᲚᲔᲛᲐ

გუცაევი ბრძოლას გვპირდება

— იტალიელებთან ძველი ანგარიშები გაქვთ...

— ძველი ანგარიშებისა რა გითხრათ, მაგრამ ის კი უეჭველია, ღირსეული რევანშისთვის რომ ვიბრძოლებთ. ბიჭები ამისთვის მზად არიან. ახლა ანგარიშების გასასწორებლად არ გვცალია. სწორად გამიგეთ, არეცოში თუნდაც ჩვენ რომ მოგვეგო, დარწმუნებული იყავით, ეს არაფერს შეცვლიდა — რუსთაველიც ასევე ვითამაშებდით. ჩვენი მიზანი ყველა მატჩში ერთია — 90 წუთი ბრძოლა, ტაქტიკურ-ტექნიკური აზროვნება, კარგი ფიზიკური მომზადება. მერწმუნეთ, თუ ეს საფეხბურთო კომპონენტები ერთმანეთს შეერწყმება, იტალიელებსაც საკადრისად ვეთამაშებით და სხვა გუნდებსაც.

— მთელი თამაში ბრძოლაო, ახსენეთ. საამისოდ თუ არიან მზად ფეხბურთელები?

— მომზადების ამ ეტაპზე სასაყვედურო არაფერი მაქვს. გადაღლილობისა ვერაფერი შევამჩნიე. ეს იყო, შეკრების პირველ დღეს პატარა დატვირთვები მივეცი, წინა დღით ხომ ჩემპიონატის მორიგ ტურში მიიღეს მონაწილეობა. რაც შეეხება ლეგიონერებს, მათი მდგომარეობაც დამაკმაყოფილებელია. სამი დღის წინ „შახტიორის“ მწვრთნელს დავუკავშირდი, ფოცხვერიაზე ვკითხე. ძალიან კარგ ფორმაშია, თბილისში ჩამოვა და თავად დარწმუნდებიო, მითხრა. მიშა ურიგოდ მართლაც არ გამოიყურება. იგივეს ვიტყვი სილაგაძეზეც, რომლის შესახებაც ძოძუაშვილი მაწუხებს ინფორმაციებს, რეზოს კი ნამდვილად დაეჯერება.

— ბოლო მატჩებში სილაგაძე-წერეთელის დუეტი თითქმის უშეცდომოდ თამაშობდა დაცვის ცენტრში. ზეგინდელ შეხვედრაში, ალბათ, მათი დამორება მოგიწევთ. რაც უნდა იყოს, ოთხ დღეში ორი მეტად პრინციპული თამაშის ჩატარება ძნელი არ იქნება წერეთელისთვის?

— რუმინელებთან თამაშის დამთავრებისთანავე წერეთელი ჩვენს განკარგულებაში იქნება. ამის შესახებ მე და კოპალეიშვილმა ვისაუბრეთ. მან მთხოვა, მამუკას ჩემთან ვათამაშებო. უბრალოდ, მორალური უფლება არ მქონდა, მისთვის უარი მეთქვა. იტალიელებთან თამაშამდე ორი დღე კიდევ გვაქვს მოსამზადებლად. წერეთელსაც შევხედავთ, თუ მოთხოვნებს დაკმაყოფილებს, ძირითადში დავაყენებთ, თუ არადა, სხვა ფეხბურთელით შევცვლით. მე თუ მკითხავთ, მისთვის უკეთესიცაა ასეთი დატვირთვა. ახალგაზრდაა, გამოცდილებას შეიძენს, კოპალეიშვილის ნაკრებს გააძლიერებს, თანაც ჯანმრთელი ბიჭია და ვიცი, რომ ასეთ დატვირთვებს თავისუფლად გაუძლებს.

— გასაგებია, კოპალეიშვილს უარი ვერ უთხარით. ვერც ყიფიანს? კობიაშვილ-გახოკიძეზე ოპარაკი ზედმეტია, მაგრამ კალაძე და იაშვილი?

— ასეთ შემთხვევებში ჩემგან უარი გამორიცხულია. ყიფიანი პირველ ნაკრებს ავარჯიშებს, ვინც დასჭირდება, ყველა უნდა მიიწვიოს, გინდ გუცაევის ფეხბურთელი იყოს, გინდ — კოპალეიშვილის. პირველი ნაკრები ქვეყნის პრესტიჟია. უცხოეთში ჩვენ ამბავს რომ კითხულობენ, უმთავრესად სწორედ ეროვნული გუნდის შედეგი აქვთ მხედველობაში, ახალგაზრდულისა ნაკლებად აინტერესებთ. თუმცა, ერთიც არის: კარგი იქნება, ყიფიანი იმ ფეხბურთელებს მაინც დაგვიბრუნებდეს, რომლებსაც ვერ გამოიყენებს. ვინც დასჭირდება, კი ბატონო, პრეტენზია არ მექნება, მაგრამ რომელიმე ახალგაზრდა ფეხბურთელის სკამზე ჯდომას არ სჯობს, ჩვენთან ძირითადში ითამაშოს?

— თავდასხმაში უიაშვილოდ, ალბათ, გაგიჭირდებათ, მითუმეტეს, დემეტრაძეც ავადაა. ჩალაძეც ტრავმირებულია...

— ყველაფრის მიუხედავად, მაინც არ ვკარგავ იმედს, რომ იაშვილი ჩვენთან ითამაშებს. ორივე ხაკრები ერთ დღეს ვთამაშობთ, ყიფიანს შემადგენლობა დილის ათი საათისთვის უკვე ეცოდინება და შესაძლოა, იაშკა ჩვენ დაგვეთამაოს. თუ ასე არ მოხდა, მაშინ მის შემცვლელსაც ღირსეულს მოვძებნით — აშვეთია, ფოცხვერია, ქებაძე, საჯაია, ამათ გარდა სხვებიც არიან. ჰოდა, გადავწყვეტთ, ვისი დაყენება აჯობებს.

— მათ შორის ზირაქიშვილიც იგულისხმება? არეცოში იტალიელებთან მატჩის შემდეგ ხომ პირველად ისევ იტალიელებთან გამოძახეთ.

— ამ ბიჭს თავის გამოჩენის კიდევ ერთი შანსი მივეცით. თუ გამოიყენებს, ხომ კარგი, თუ არადა, ფეხბურთი ზირაქიშვილით არ დაწყებულა და არც დამთავრდება. მოსამზადებლად 20 ფეხბურთელი გამოვიძახეთ, ამათგან იმ 16 საუკეთესოს ავარჩევთ, რუსთავის მატჩის ოქმში რომ შევიყვანთ. ჯერჯერობით ადგილი არავის აქვს დაჯავშნული.

— ისევ თამაშს დავუბრუნდეთ. იტალიელებთან ერთხელ უკვე ითამაშეთ. რუსთავშიც, ფაქტობრივად, მაშინდელი შემადგენლობა მოჰყავთ. მათი თამაშის შანერას კარგად შეისწავლიდით.

— ნათამაშეები რომც არ გვქონდეს, ინგლისელებთან მათი თამაშის ვიდეოფირი გვაქვს. ყველაფერს კარგად შევისწავლით და სათამაშო სქემასაც ამის მიხედვით შეეადგენთ. ძალიან კარგი გუნდი ჰყავთ, შემადგენლობა თითქმის მთლიანად დაბალანსებულია. როგორც ყოველთვის, აქტიურ ფეხბურთს თამაშობენ, დაცვას კი უფრო დიდ ყურადღებას აქცევენ. როცა მათი თამაში ფეხბურთელებს ვაჩვენე, ვუთხარი — ხომ ნახეთ, რომ დიდ ფეხბურთს თამაშობენ, კაცი ვერ იფიქრებს, ახალგაზრდული გუნდი თუ თამაშობს, ყოველ მათგანს ახლავე შეუძლია პირველ ნაკრებში თავის გამოჩენა-მეთქი. ჩვენს ბიჭებსაც საბრძოლო განწყობა აქვთ, ყველას შეგნებული აქვს ამ მატჩის მნიშვნელობა და პრინციპულობა. მთავარია, მწვრთნელების დაცალება ზუსტად შეასრულონ. ბრძოლაში თუ არ დავუთმეთ, მერე ნიჭზე მიდგება საქმე. ეს კი იტალიელებზე ნაკლები რომ არ გვაქვს, ამას ჩემი ძტკიცება აღარ უნდა.

ზეგინდელ მატჩში ბოლომდე უნდა გამოვიყენოთ ჩვენი ძალები. თავდადებით და გონივრულად თამაში, დარწმუნებული ვარ, გამარჯვებას მოგვიტანს. თუ წაიზარმაცეთ, არაფერი გამოვა.

— არეცოს ექვსი გოლი სტუმართა თავდასხმის სიძლიერეზე მეტყველებს. პრესინგს ხომ არ გამოიყენებთ?

— არა, გამორიცხულია. როგორი თავდასხმაც უნდა ჰყავდეთ, ცენტრის ზაზიდან გოლს მაინც ვერ გაგეტანენ, ამიტომ ზონურ დაცვას ვთამაშებთ. საკუთარი საჯარიმოს მახლობლად ბურთის თავისუფლად მიღებისა და გადაადგილების საშუალებას მაქსიმალურად მოვუსპობთ — იქ, სადაც ერთი პასი ან დარტყმა ყველაფერს წყვეტს. არა მგონია, მთელ მოედანზე მეტოქის დევნამ რაიმე სასიკეთო მოგვიტანოს.

— თქვენი ხელმძღვანელობით ახალგაზრდული ნაკრები პირველად თამაშობს რუსთავში, სადაც, ბათუმისა და ფოთის მოედნებთან შედარებით, უსწორმასწორო გაზონია.

— მოედანს ასწორებენ და თამაშისთვის, ალბათ, მზად იქნება. უსაშველო რუსთავის გაზონს არაფერი სჭირს. ამას გუნდის თამაშისთვის გადამწყვეტი მნიშვნელობა არა აქვს.

ძოგა ინასარიძე

ახალგაზრდული ნაკრები

მეკარეები — დავით გვარამაძე (მორკინალი), ზურაბ ბათიაშვილი (თსუ), დავით ასლანაძე (ტორპედო)

მცველები — გივი დიდავა (დინამო), ლევან სილაგაძე (სკონტო, ლატვია), მამუკა წერეთელი (ვენტსპილსი, ლატვია), შალვა ხუჯაძე (ტორპედო), ირაკლი გემეზაშვილი (დინამო), ლევან ცქიტიშვილი (დინამო), ჯონი შალამბერიძე (თსუ)

ნახევარმცველები — გიორგი კიკნაძე (დინამო), ალექსანდრე გოგობერიშვილი (დინამო), ლაშა მონასელიძე (ასკ), მიხეილ საჯაია (აუგსბურგი, გერმანია), დავით მუჯირი (დინამო), ზაზა ზირაქიშვილი (უნტერჰახინგი, გერმანია)

თავდამსხმელები — გიორგი ქორიძე (თსუ), ლევან ქებაძე (ტორპედო), რატი ალექსიძე (დინამო), დავით ჩალაძე (სკონტო, ლატვია), მიხეილ ფოცხვერია (შახტიორი, უკრაინა), მიხეილ აშვეთია (ალანია, რუსეთი)

საფრანგეთი

VI ტური

ლე ავრი — ტულუზი 1:1; მარსელი — ლიონი 1:0; სტრასბური — პსჟ 0:3; რენი — მეცი 2:2; კანი — მონაკო 1:2; ბასტია — ბორდო 4:1; ლანსი — ნანტი 0:0; ოსერი — შატორუ 5:0; მონპელიე — გინგამი 2:3

ჩემპიონთა ლიგის საკვალიფიკაციო ეტაპზე რუმინელთა ბრწყინვალედ ძლევის შემდეგ პსჟ ფრთაშესხმულია. რიკარდოს ბიჭები საუცხოოდ თამაშობენ და სადაც გაივლიან, ქვას ქვაზე არ ტოვებენ. რუამ ამ ბოლო დროს აიწევიტა, სიმონე ხომ შეუდარებელია. სწორედ მათმა კარგმა თამაშმა განაპირობა დედაქალაქელთა დიდი ანგარიშით გამარჯვება. იტალიელმა მასპინძლები სულაც მასხრად აიგდო და დაახლოებით 40-მეტრიანი სოლო რეიდის შემდეგ ლიგაში მეექვსე გოლი გაიტანა, რითაც ბომბარდირობა დაიბეგა. კლუბის იმდღევანელ თამაშს პსჟ-ს დირექტორმა კლოდ ლე როიმ უმაღლესი შეფასება მისცა, თან დასძინა, მთავარი შედეგია, მაგრამ უფრო სასიხარულოა, გამარჯვება ლამაზ თამაშს რომ მოაქვსო. სანამ პსჟ მეტოქეებს მშრალად ანადგურებს, წინა სეზონში მისი მეკობინი „მონაკო“ ჯერაც ვერ შეთამაშებულა. ჩემპიონებმა „კანი“ რის ვაი-ვაგლახით სძლიეს, ის კი არა, საფრანგეთის ახალგაზრდული ნაკრების ფორვარდი დეეიდ ტრეზეგი რომ არა, ორ ქულას კარგავდნენ — ამან თაურით მას შემდეგ იხერა, რაც ალი ბენარბიამ მარცხენა ფლანგიდან ჩაუწოდა. თავისი კლუბის თამაშით ტივანა გაწბილებული დარჩა — ჯერ კიდევ ბევრი გვაქვს სამუშაოო, განაცხადა.

მეცი	6	5	1	0	13:6	16
პსჟ	6	5	0	1	16:6	15
ბასტია	6	4	2	0	10:3	14
მარსელი	6	3	2	1	8:5	11
ბორდო	6	3	1	2	10:12	10
ოსერი	6	3	0	3	12:9	9
ლანსი	6	2	3	1	7:4	9
ტულუზი	6	2	3	1	5:7	9
გინგამი	6	2	2	2	7:6	8
მონაკო	6	2	1	3	9:8	7
ნანტი	6	2	1	3	4:5	7
მონპელიე	6	1	3	2	7:8	6
ლიონი	6	2	0	4	6:8	6
სტრასბური	6	1	3	2	5:8	6
ლე ავრი	6	1	2	3	7:9	5
რენი	6	1	2	3	7:13	5
კანი	6	1	0	5	5:12	3
შატორუ	6	0	2	4	5:14	2

თურქეთი

მე-6 ტური. ბურსა — ქარაბუქი 4:0, ბეშიქთაში — ტრაბზონი 3:0, ფენერბაჰჩე — გალათასარაი 3:1, შექერსფორი — სამსუნი 2:1, დარდანელი — ანკარაგიუჯუ 1:1, ალთაი — ანთალია 0:2, ქოჯაელი — ისთანბული 3:0, ვანსფორი — ქაისერი 1:1, გენჩლერბირლიგი — გაზიანთეფი 0:1

ფენერბაჰჩე	5	4	0	1	9:4	12
ბეშიქთაში	5	3	2	0	9:4	11
ტრაბზონი	5	3	1	1	10:7	10
ბურსა	5	3	1	1	7:5	10
ანთალია	5	2	3	0	9:5	9
გალათასარაი	5	2	2	1	12:6	8
ისთანბული	5	2	2	1	9:6	8
ქარაბუქი	5	2	1	2	6:7	7
გენჩლერბირ.	5	1	3	1	5:3	6
დარდანელი	5	1	3	1	7:7	6
ალთაი	5	2	0	3	4:7	6
სამსუნი	5	1	2	2	5:6	5
შექერსფორი	5	1	2	2	5:8	5
ქაისერი	5	1	2	2	4:7	5
ქოჯაელი	5	1	1	3	6:7	4
გაზიანთეფი	5	1	1	3	4:7	4
ანკარაგიუჯუ	5	0	3	2	2:8	3
ვანსფორი	5	0	1	4	5:14	1

ესპანეთი

II ტური

პეტინე 1:1 ბილბაო
0:1 ალასტალი (59), 1:1 ოლი (78)

ატლეტიკო 5:0 ვალიადოლიდი
1:0, 2:0 ბოგდანოვიჩი (18, 39), 3:0 სანტი (67პ), 4:0 ლარდინი (68), 5:0 კიკო (91)

ესპანიოლი 1:1 სელტა
0:1, 1:1 ბერგესი (55, 83ს.კ.)

დეპორტივო 1:1 ვალიორკა
0:1 მოია (42), 1:1 ივან კამპო (46ს.კ.)

მერიდა 3:3 კომპოსტელა
0:1 მანუელი (20), 0:2 ლეკუმბერი (22), 0:3 ოუენი (42), 1:3 პირი (49), 2:3 მარკოსი (70პ), 3:3 ხაიმე (78)

სოსიედადი 1:0 რასინგი
1:0 ლუის პერესი (44)

სალამანკა 0:2 რეალი
0:1, 0:2 მორიენტესი (10, 20)

ხიხონი 0:2 ტენერიფე
0:1 პინელია (5), 0:2 ჩანო (53)

სარაგოსა 3:3 ოვიედო
0:1, 0:2 ჰომპეი (12, 26), 1:2 კილი (53), 2:2 გარიტანო (63პ), 2:3 ხუან გონსალესი (68პ), 3:3 ხორდი (77)

ვალენსია — ბარსელონა დღეს გაიმართება.

ატლეტიკო	2	1	1	0	6:1	4
ოვიედო	2	1	1	0	5:3	4
კომპოსტელა	2	1	1	0	5:3	4
ესპანიოლი	2	1	1	0	4:2	4
ბეტისი	2	1	1	0	4:2	4
რეალი	2	1	1	0	3:1	4
ტენერიფე	2	1	1	0	2:0	4
სელტა	2	1	1	0	3:2	4
მალიორკა	2	1	1	0	3:2	4
ბარსელონა	1	1	0	0	3:0	3
რასინგი	2	1	0	1	1:1	3
სოსიედადი	2	1	0	1	1:3	3
დეპორტივო	2	0	2	0	1:1	2
სარაგოსა	2	0	1	1	4:5	1
მერიდა	2	0	1	1	3:5	1
ბილბაო	2	0	1	1	2:4	1
ვალენსია	1	0	0	1	1:2	0
სალამანკა	2	0	0	2	0:3	0
სპორტინგი	2	0	0	2	0:4	0
ვალიადოლიდი	2	0	0	2	1:8	0

მეორე დივიზიონი

ლეიდა — ატლეტიკო B 0:2, ეიბარი — ალავესი 2:1, ვილიარეალი — ერკულესი 2:1, ლას პალმასი — ლეგანესი 1:1, ალბასეტე — ლევანტე 3:0, ორენსე — სევილია 0:1, ელჩე — ესტრემადურა 0:1, ხერესი — ბადახოსი 0:0, ტოლედო — ოსასუნა 1:0, რაიო ვალეკანო — ნუმანსია 2:0, ხაენი — ლოგრონიესი 1:1

იტალია

სერია B

მე-2 ტური. დი სანგრო — ანკონა 1:1; ფ. ანდრია — კიევო 1:0; ფოჯა — ვენეცია 1:2; ჯენოა — ლუკეზე 1:1; პესკარა — კალიარი 0:1; რავენა — პერუჯა 0:0; რეჯინა — რეჯანა 1:0; ტორინო — პადოვა 2:1; ტრევიზო — სალერნიტანა 1:1; ვერონა — მონცა 3:2

ინგლისი

პირველი დივიზიონი

მე-6 ტურის მატჩები. ბრედფორდი — სანდერლენდი 0:4, ოქსფორდი — ვულვერჰემპტონი 3:0, ბერი — ტრანმერი 1:0, სვინდონი — ნოტინგემი 0:0, ვესტ ბრომვიჩი — რედინგი 1:0

ამხანაგური მატჩი

პოლონეთის ნაკრები ვარშავაში უნგრელებს შეხვდა. თამაშის ერთადერთი გოლი მასპინძელმა კეიშტოფ რატაიჩიკმა 58-ე წუთზე გაიტანა. გამარჯვებულებმა ასეთი შემადგენლობით ითამაშეს: კლაკი (შამოტულსი 46), იუზვიაკი, ლაპინსკი (ზელინსკი 46), რატაიჩიკი (ბუკალსკი 68), მიხალსკი (შიმკოვიაკი 46), მაიაკი (სოკოლოვსკი 71), ივანი, ლედვონი (ვალდონი 46), ბეეჩეკი, კოვალჩიკი, იუსკოვიაკი (დემბინსკი 14)

„ანდერლეხტი“ — ცოღლუტების გუნდი

პარასკევს ბრიუსელის „ანდერლეხტის“ ახლანდელმა პრეზიდენტმა როჯერ ვანდენ სტოკმა მამის — კონსტანტინ ვან დენ სტოკის ცოდვები მოანანია. მან აღიარა, რომ მამის პრეზიდენტობის დროს, 1984 წელს, ინგლისის „ნოტინგემ ფორესტთან“ უეფას თასის ნახევარფინალის განმეორებითი შეხვედრის წინ მათ ესპანელი მსაჯი მურეჩეტა მურო მოქრთამეს. ის შეხვედრა ბელგიელებმა 3:0 მოიგეს, ორი მატჩის ჯამში 3:2 იმარჯვეს და ფინალში გავიდნენ, სადაც „ტოტენჰემთან“ პენალტებით წააგეს.

პარასკევს უფროსი ვან დენ სტოკი ბელგიის ტელევიზიით გამოვიდა და განაცხადა, სინდისის ქეჯნა ვიგრძენი, სიმართლე რომ არ ვთქვა, ვერ გავუძლებო და ყველაფერი წვრილად დაფქვა. საუბრისას კი აღნიშნა, რომ პირადად მან კი არ მოქრთამა მსაჯები, არამედ მისმა თანამოაზრეებმა. იქვე თანხაც — 27 ათასი დოლარი დაასახელა და დასძინა, კონკრეტულად მუროსთან საქმე კლუბის ადმინისტრატორ რაიმონდ დე დიკენს ჰქონდა, მან კი, როგორც შემდეგ გაირკვა, ზედმეტი გამომართვა და ჩაიჯიბაო.

„ანდერლეხტის“ ამ ბურუსით მოცულ საქმის შესახებ ჯერ კიდევ დეკემბერიანვარში მიმდინარეობდა გამოძიება, მაგრამ მაშინ ცუღლუტ მამა-შვილს ვერაფერი დაუმტკიცეს, ახლა კი ერთკვირიანი გამოძიების შედეგად ისეთი საბუთები წაუყენეს, რომ მათ დანაშაული აღიარეს.

შესარჩევი ტურნირი

FRANCE 98

ევროპა

I ჯგუფი

ხორვატია 3:2 ბოსნია

0:1 იარნი (18 სკ.), 1:1 ბილიჩი (27), 2:1 მარიჩი (40), 2:2 სალიბამიჯიჩი (55), 3:2 ბობანი (80)

სლოვენია 0:3 საბერძნეთი

0:1 ალექსანდრისი (54), 0:2 კონსტანტინიდისი (89), 0:3 მახლასი (90)

„მილანში" გამოწრთობილ ზვონიმირ ბობანს თამაშის დამთავრებამდე ათი წუთით ადრე ბოსნიელების კარში გადამწყვეტი გოლი რომ არ შეეგდო, მარცხენა ფეხზე ამდგარი გოლკიპერის დრაჟენ ლადიჩის ორი შეცდომის გამო ხორვატები ორ ქულას დაკარგავდნენ. ახლა ისინი დანიაში მიდიან საბედისწერო შეხვედრის გასამართად, დანიელებს კი ხორვატთა მასპინძლობის შემდეგ ათენში აქვთ სათამაშო. პირველჯგუფელთა ბედი ამ ორ მატჩში გადაწყდება.

საბერძნეთი	7	4	1	2	11:4	13
დანია	6	4	1	1	11:5	13
ხორვატია	6	3	3	0	13:8	12
ბოსნია	7	2	0	5	8:14	6
სლოვენია	6	0	1	5	4:16	1

უახლოესი მატჩები. 10 სექტემბერი: ბოსნია — სლოვენია, დანია — ხორვატია

III ჯგუფი

აზერბაიჯანი 0:1 ნორვეგია

0:1 ფლო (43)

შვეიცარია 1:2 ფინეთი

0:1 ლიტმანენი (16), 0:2 სუმიალა (79), 1:2 კუნეი (90)

მესამე ჯგუფის მთავარი მოვლენა საყოველთაო უმთავრეს მოვლენად იქცა. საუბარია აზერბაიჯანელთა მარცხზე ნორვეგიასთან, რომელმაც სკანდინავიელები საფრანგეთის გზას გაუყენა. საოცარ ავდარში, შეჯიბრების ყველაზე მნიშვნელოვანი გოლი „ჩელსის" თავდამსხმელმა ტორე ანდრე ფლომ გაიტანა. მისი ახლოდან დარტყმული თაურით ნორვეგიელებმა ისტორიაში მესამედ გაიკაფეს გზა მსოფლიოს ჩემპიონატისკენ. პირველად ეს 1938 წელს მოხდა, ხოლო მეორედ — წინა ჩემპიონატზე. საგოლე პასი ფლოს პეტერ რუდმ ჩაწოდა.

ნორვეგია	7	5	2	0	16:2	17
ფინეთი	7	3	1	3	10:11	10
უნგრეთი	6	2	2	2	6:6	8
შვეიცარია	6	2	1	3	6:7	7
აზერბაიჯანი	6	1	0	5	2:14	3

უახლოესი მატჩები. 10 სექტემბერი: უნგრეთი — აზერბაიჯანი, ნორვეგია — შვეიცარია

IV ჯგუფი

ლატვია 1:0 ესტონეთი

1:0 ზემლინსკი (87პ)

შოტლანდია 4:1 ბელარუსი

შოტლანდია: ლეიტონი, ბარლი, ბოიდი, კალდვერვუდი, დეილი, მაკკინლი, გალაჰერი (დოდსი 80), ლამბერტი, მაკლისტერი (ჰოპკინი 49), დიური (მაკკოისტი 46), კოლინზი.

ბელარუსი: შანტალოსოვი, გეორგიევიჩი, ლავრიკი, ოსტროვსკი, დოვნარი, ჟურავლევი (ზურნინსკი 64), გერასიმოვიჩი (ბალაშოვი 78), გურენკო (ორლოვსკი 51), ბელკევიჩი, კაჩურო, კულჩი

1:0 გალაჰერი (5), 2:0 ჰოპკინი (54), 3:0 გალაჰერი (56), 3:1 კაჩურო (73პ), 4:1 ჰოპკინი (87)

პრინცესა დაიანას დაკრძალვის მეორე დღეს აბერდინში ჩინებული დარი იდგა. 22 ათასი შოტლანდიელიც არ უჩიოდა ცუდ ხასიათს და ეროვნული დროშებით ხელში „პიტოდრის" სტადიონის ტრიბუნებზე ლაღობდა. რამდენადაც მძიმე იყო წინა პერიოდი, იმდენად მსუბუქი გახლდათ თავად შეხვედრის დღე. არადა, დაშინებული შოტლანდიელი ფეხბურთელები მატჩამდე ლამის ხმის კანკალით მოუწოდებდნენ თანამემამულეებს — ნუ შეგვრისხავთ, მხარი დაგვჭირეთო. თურმე მათ შერისხვას არავინ აპირებდა.

შეგახსენებთ: წესით სქოთთა ბრძოლა ბელარუსებთან შაბათს უნდა გამართულიყო, მაგრამ იმ დღეს ბრიტანეთის პრინცესას დაკრძალვა დაემთხვა. შოტლანდიის ფეხბურთის ფედერაციამ თავიდან მაჩტის არგადატანა სცადა, მაგრამ ლამის მთელი გაერთიანებული სამეფო აუმხედრდა და იძულებული შეიქნა, დაწყების დრო 24 საათით გადაეწია.

სტადიონის სიახლოვეს, ცნობილ პაბში, რომელსაც „ყავის ბუდე" ჰქვია, უდრდელი სქოთი ქომაგები ლუდს წრუპავდნენ და თამაშის დაწყებას ელოდნენ.

გაისად საფრანგეთში, მსოფლიოს ჩემპიონატის დასკვნით ეტაპზე 32 გუნდი მოიყრის თავს. ცხრა მათგანის ვინაობა უკვე ცნობილია. სულ თავიდან ვიცოდით ორი, ჩემპიონი ბრაზილია და მასპინძელი საფრანგეთი — უკონკურსოდ დაშვებული გუნდები. აფრიკის ზონაში დამთავრებულმა შესარჩევმა შეჯიბრებამ მათ ხუთი ნაკრები დაამატა: ნიგერია, მაროკო, ტუნისი, სამხრეთ აფრიკა და კამერუნი. ევროპიდან კი, მიუხედავად იმისა, რომ აქ ბრძოლა ჯერ არ დასრულებულა, ორი სახელი ახლავეა ცნობილი — რუმინეთი და ნორვეგია. ნორვეგიელებმა ბარიზის ავიაბილეთის ყიდვის უფლება შაბათს ბაქოში მოიბოვეს, თუმცა თანმიმდევრულად მივყვეთ.

— დაკრძალვა დამთავრდა, მაღაზიები და ყველაფერი ღიაა, მაშ ფეხბურთი რად არ უნდა ჩატარდეს? — იკითხა ერთმა.

— ცხოვრება ჩვეულ კალაპოტს დაუბრუნდა. გუშინ თამაში უხერხული იქნებოდა, მაგრამ დღეს პრინცესა დაკრძალულია და, ესე იგი, შეგვიძლია ყოველგვარი სინდისის ქენჯნის გარეშე ვითამაშოთ — განაცხადა მეორემ.

კევინ გალაჰერმა კი ერთგული ქომაგების გასახარად თამაშის დაწყებიდან სულ ცოტა ხნის შემდეგ გახსნა ანგარიში. მეორე ტაიმში გალაჰერმა მეორეც გაიტანა. ახლა „ბლექბერნის" თავდამსხმელს ბოლო ოთხ თამაშში ხუთი გოლი აქვს გატანილი, ხოლო მისი ნაკრები თანაჯგუფელ ავსტრიასა და შვედეთს კვლავ საფრანგეთის საგზურისთვის ეპაექრება.

ბელარუსთა კარში კიდევ ორი გოლი გავიდა. მათი ავტორი შეცვლაზე შესული დეივიდ ჰოპკინი გახლდათ. ჰოპკინის პირველი გოლი პირველი იყო ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით — მას აქამდე სქოთთა ეროვნულ გუნდში არ გაეტანა.

ახლა შოტლანდიელებს მათი იმედი აქვთ, ვინც გუშინ დაამარცხეს: ოთხშაბათს ავსტრიელებთან მატჩში ბელარუსებს ქომაგობენ, რათა პროჰაზკას გუნდმა ვერ მოიგოს.

ავსტრია 1:0 შვედეთი

1:0 ჰერცოგი (76)

თამაშის მეორე დღეს ავსტრიელთა მწვრთნელმა ჰერბერტ პროჰაზკამ 18 კაციან გუნდში ორი ცვლილება შეიტანა: ოთხშაბათისთვის ბელარუსებთან მინსკში სათამაშოდ გამოიძახა მეკარე ვოლფგანგ კნელერი და მცველი მარტინ ჰიდენი.

ცვლილებები პროჰაზკას იმად დასჭირდა, რომ შეედებთან შეხვედრაში მთავარი გოლკიპერი, „რომას" კარის დარაჯი მიხაელ კონსელი და მცველი ანტონ პფეფერი მოედნიდან გააძევეს. იმ თამაშში გააძევეს შვედი ფეხბურთელიც — როლანდ ნილსონმა პეტერ შტიოგერთან უხეშობისთვის მიიღო წითელი ბარათი. მატჩის ერთადერთი გოლი კი გერმანულ „ვერდერში" მოთამაშე ანდრეას ჰერცოგმა შეაგდო.

შოტლანდია	9	6	2	1	13:3	20
ავსტრია	8	6	1	1	12:4	19
შვედეთი	8	5	0	3	14:9	15
ლატვია	8	3	1	4	10:11	10
ბელარუსი	8	1	1	6	5:16	4
ესტონეთი	9	1	1	7	4:15	4

უახლოესი მატჩები. 10 სექტემბერი: ბელარუსი — ავსტრია, შვედეთი — ლატვია

V ჯგუფი

ლუქსემბურგი 1:3 კვიპროსი

0:1 პაპავასილიუ (6), 1:1 ამოდიო (7), 1:2, 1:3 იოანუ (55, 79)

ბულგარეთი	6	5	0	1	15:5	15
რუსეთი	6	4	2	0	15:2	14
ისრაელი	8	4	1	3	9:7	13
კვიპროსი	7	2	1	4	8:15	7
ლუქსემბურგი	7	0	0	7	2:20	0

უახლოესი მატჩი. 10 სექტემბერი: ბულგარეთი — რუსეთი

VI ჯგუფი

ფარერები 0:2 ჩეხეთი

ფარერები: ენგულსენი, იოჰანსენი, ი. ჰანსენი, თორსტეინსონი, ო. ჰანსენი, მორკორე, იარნსკორი (იონსენი 72), დამი, მიულერი (არგე 72), იონსონი, ჰეტერსენი

ჩეხეთი: სრნიჩეკი, ლატალი, სუხოპარეკი, ვლჩეკი, რეპკა, სლონჩიკი (სვობოდი 85), ნემეცი, ლასოტა (ბაშეკი 73), კუკა (ვაჩა 55), შმიცერი, ბეიბლი

0:1 შმიცერი (16), 0:2 კუკა (32პ)

ესპანეთი	8	6	2	0	21:4	20
იუგოსლავია	8	6	1	1	23:6	19
სლოვაკეთი	7	5	0	2	16:8	15
ჩეხეთი	8	3	1	4	12:6	10
ფარერები	9	2	0	7	9:28	6
მალტა	8	0	0	8	2:31	0

უახლოესი მატჩი. 10 სექტემბერი: სლოვაკეთი — იუგოსლავია

VII ჯგუფი

ჰოლანდია 3:1 ბელგია

1:0 სტამი (32), 2:0 კლუივერტი (53), 2:1 სტალენსი (67პ), 3:1 ბერხკამპი (84)

ჰოლანდია	7	6	0	1	26:4	18
ბელგია	7	5	0	2	17:9	15
თურქეთი	6	3	1	2	16:9	10
უელსი	7	2	1	4	18:18	7
სან მარინო	7	0	0	7	0:37	0

უახლოესი მატჩი. 10 სექტემბერი: სან მარინო — თურქეთი

VIII ჯგუფი

ისლანდია 2:4 ირლანდია

ისლანდია: ფინბოგასონი, ლ. სიგურდსონი, ბერგსონი, სვერისონი, ჰრვიდარსონი, კრისტინსონი, ს. იონსონი, ტ. გუდიონსონი, გუნარსონი (ბ. გუდიონსონი 87), ჰ. სიგურდსონი (დადასონი 69), დანიელსონი (ტ. გუდმუნდსონი 69)

ირლანდია: გივენი, კენა (მაკატირი 63), კანინგჰამი, ჰარტი, სტონტონი, მაკლაფლინი, თაუნსენდი, კინი, კელი, კონოლი, კილბეინი (კენედი 46)

0:1 კონოლი (13), 1:1 გუნარსონი (43), 2:1 ჰ. სიგურდსონი (47), 2:2, 2:3 კინი (53, 65), 2:4 კენედი (80)

ირლანდიელთა მწვრთნელმა მიკ მაკკარტიმ აღიარა, შევცდი, მარკ კენედი სასტარტო შემადგენლობაში რომ არ ვათამაშეო: „ის შეხვედრას თავისი ნიჭის შესაფერის დაღს თავიდანვე დაასვამდა" — თქვა მან.

წინა მატჩთან შედარებით ირლანდიელებს სამი სიახლე ჰქონდათ, თუმცა სამივე ტრავმათა მიერ იყო ნაკარნახევი. ალან მაკლაფლინი და გარი კელრეი ჰაფტონისა და ნილ ქუინის მაგივრად თამაშობდნენ, მაგრამ ყველაზე მოულოდნელი 20 წლის ვესტბრომვიჩელის, კევინ კილბეინის გამოჩენა გახლდათ. ის კენედის ადგილზე მოქმედებდა.

მაკკარტის გუნდს პირველივე წამებიდან კარგად აეწყო საქმე. დავიდ კონოლი სანამ ანგარიშს გახსნიდა, პენალტს იმსახურებდა, მაგრამ მის არდანიშნას ხასიათი არავისთვის წაუხდენია. რამდენიმე წუთში სტივ სტონტონის პასით „ფეიენოორდის" ფორვარდმა ანგარიში გახსნა. შემდეგ, შესვენებამდე ორი წუთით ადრე და ორი წუთის შემდეგ მასპინძლებმა შეეყარეს, მაგრამ როდესაც კენედიმ კუთხური ჩაწოდა, კინიმ კი ღონიერი თაური დაარტყა, ანგარიში კვლავ გათანაბრდა. გამოხდა ხანი და კენედი-კინის კომბინაცია ისევ თაური გოლით დასრულდა, ბოლოს კი კენედიმ შეაგდო. მის გოლში ლომის წვლილი მასპინძელთა გოლკიპერმაც დიდო, რომელმაც დაჭერილი ბურთის გაშვება მოახერხა.

კენედიმ თავისიანებისთვის ერთი ცუდი საქმეც გააკეთა. ორი ყვითელის გამო მოედნის 84-ე წუთზე დატოვება მოუხდა და ზეგ ერთ-ერთ მთავარ მეტოქესთან, ლიტვასთან ვერ ითამაშებს. ვერ ითამაშებენ ენდი თაუნსენდი და ჯეფ კენაც, რომელითაც შეჯიბრების მეორე გაფრთხილება მიიღეს. ისლანდიელთაგან 72-ე წუთზე ლარუს სიგურდსონი გააძევეს.

ლიხტენშტაინი 1:8 რუმინეთი

0:1 მოლდოვანი (6), 0:2, 0:3 კრაიოვიანუ (10, 32), 0:4 დობოსი (36), 0:5, 0:6 მუნტიანუ (44, 45), 0:7 ბარბუ (80), 1:7 ფრიკი (64), 1:8 მუნტიანუ (69)

ლიტვა 2:0 მაკედონია

1:0 ივანაუსკასი (26), 2:0 პრეიშაიტისი (88)

რუმინეთი	8	8	0	0	32:3	24
ირლანდია	8	4	2	2	19:6	14
ლიტვა	8	4	2	2	8:5	14
მაკედონია	9	4	1	4	21:16	13
ისლანდია	7	1	2	4	7:12	4
ლიხტენშტაინი	9	0	0	9	3:48	0

უახლოესი მატჩები. 10 სექტემბერი: რუმინეთი — ისლანდია, ლიტვა — ირლანდია

IX ჯგუფი

გერმანია 1:1 პორტუგალია

0:1 ბარბოსა (71), 1:1 კირსტენი (81)

უსახური ფრეს მიუხედავად, გერმანელებს საფრანგეთში ჩასვლაში, ალბათ, ხელს ვერაფერი შეუშლის: ევროპის ჩემპიონებს ხუთი ქულა სჭირდებათ, დარჩენილ კი აქვთ ორი მატჩი — სომხეთთან და ალბანელებთან შინ.

— ბურთების სხვაობა ისეთი გვაქვს, ერთი რომ მოვიგოთ, ხოლო მეორე ფრედ ვითამაშოთ, მაინც მივაღწევთ მიზანს. მოკლედ, გასვლით გავალთ, მაგრამ რაც გუშინ ვიხილე, არ მომეწონა — თქვა კვირას ბერტი ფოგთსმა.

მართლაც გერმანელებმა კინაღამ ისტორიაში მეორედ წააგეს მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი შეხვედრა. ისინი შეცვლაზე შესულმა ულფ კირსტენმა გადაარჩინა.

— პორტუგალიამ ძალიან კარგად ითამაშა და ჩვენზე დიდი ზეწოლა მოახდინა — განაცხადა გერმანელთა გოლკიპერმა ანდრეას კეპკემ.

— ვწუხვარ, გულშემატკივრებს სიამოვნება რომ ვერ მივანიჭეთ — 75 ათასი ბერლინელის წინაშე ბოდიში მოიხადა მარიო ბასლერმა.

და მაინც, გერმანელებს ზედიზედ 17 თამაშია არ წაუგიათ, რაც მრავლისმეტყველია.

AP ბერლინიდან

გერმანია — პორტუგალია. სტუმრებმა კლინსმანს არ გაატანინეს

ოთხშაბათს გერმანელები სომხებს მასპინძლობენ. ახალი თამაშისთვის ფოგთსმა ორი ახალი ფეხბურთელი გამოიძახა: ოლაფ ტონი და ტომას ლინკე. ორივე „შალკედან". საქმე ის გახლავთ, რომ შტეფან როიტერს მუცლის კუნთი სტკივა, იურგენ კოლერმა კი პორტუგალიელებთან შეხვედრაში მეორე ყვითელი მიიღო.

რაც შეეხებათ პორტუგალიელებს, ისინი რეი კოშტას გაძევებას აპროტესტებენ. იტალიური „ფიორენტინას" ფეხბურთელი ფრანგმა არბიტრმა მარკ ბატამ 76-ე წუთზე მეორე ყვითლის ძალით გააძევა. იმ მომენტში კოშტას ცვლიდნენ.

— ასეთი რამ ისტორიას არ ახსოვს.

სომხეთი 3:0 ალბანეთი

სომხეთი: ბერეზოვსკი, კრბაშიანი, ნაზარიანი, ბოგუსლავიანი, ავალიანი, ვარდანიანი, პეტროსიანი (ესაიანი 39), სარქისიანი (ტერ პეტროსიანი 62), მხითარიანი, ასატურიანი, მიქაელიანი (ავეტისიანი 16)

ალბანეთი: სტრაკოშა, ტოლე, შულკუ, ჯუმბა, ვატა, რინდაი, ბაკო (ფაკია 77), ბაჯი, კოვა, რაკლი, ტარე (ფორტუზი 74)

1:0 ვარდანიანი (60), 2:0 ასატურიანი (82), ავალიანი (88)

გაძევება: რაკლი (88)

უკრაინა	9	5	2	2	8:6	17
გერმანია	8	4	4	0	15:6	16
პორტუგალია	9	4	4	1	11:4	16
სომხეთი	8	1	5	2	8:11	8
ჩრდ. ირლანდია	8	1	4	3	6:8	7
ალბანეთი	8	0	1	7	3:16	1

უახლოესი მატჩები. 10 სექტემბერი: ალბანეთი — ჩრდ. ირლანდია, გერმანია — სომხეთი

აზია

კორეა 3:0 მაზახეთი

1:0 ჩოი (24), 2:0 ჰა (68), 3:0 ჩოი (76)

იაპონია 6:3 უზბეკეთი

1:0, 2:0 მიურა (5, 24), 3:0 ნაკატა (40), 4:0 იო (45), 4:1 შკვირინი (57), 5:1 მიურა (68), 5:2 ფიოდოროვი (70), 5:3 შაციხი (76), 6:3 მიურა (81)

ევროპის ახალგაზრდული ჩემპიონატი

I ჯგუფი

ხორვატია 6:1 ბოსნია

სლოვენია 1:3 საბერძნეთი

საბერძნეთი	7	5	1	1	10:4	16
დანია	6	3	1	2	12:7	10
ხორვატია	6	3	0	3	11:7	9
სლოვენია	6	2	0	4	6:10	6
ბოსნია	7	1	2	4	5:16	5

III ჯგუფი

შვეიცარია 2:1 ფინეთი

IV ჯგუფი

შოტლანდია 0:3 ბელარუსი

ავსტრია 0:4 შვედეთი

ლატვია 0:1 ესტონეთი

შვედეთი	8	7	0	1	20:6	21
ბელარუსი	8	6	1	1	16:4	19
ავსტრია	8	5	1	2	18:11	16
შოტლანდია	9	2	1	6	8:16	7
ლატვია	8	1	2	5	2:11	5
ესტონეთი	9	1	1	7	4:20	4

V ჯგუფი

ლუქსემბურგი 1:2 კვიპროსი

ისრაელი	8	5	2	1	17:9	17
რუსეთი	6	4	1	1	22:4	13
ბულგარეთი	6	4	0	2	13:7	12
კვიპროსი	7	2	1	4	11:15	7
ლუქსემბურგი	7	0	0	7	3:31	0

VII ჯგუფი

ჰოლანდია 5:2 ბელგია

ჰოლანდია	7	5	1	1	23:5	16
თურქეთი	6	4	0	2	12:4	12
უელსი	7	4	0	3	9:8	12
ბელგია	7	3	1	3	15:12	10
სან მარინო	7	0	0	7	1:31	0

VIII ჯგუფი

ისლანდია 1:0 ირლანდია

ლიტვა 1:0 მაკედონია

IX ჯგუფი

სომხეთი 2:0 ალბანეთი

გერმანია 1:1 პორტუგალია

პორტუგალია	8	4	2	2	20:11	14
გერმანია	6	4	2	0	11:3	14
უკრაინა	7	5	1	2	13:4	13
ალბანეთი	7	1	1	5	6:17	4
სომხეთი	6	1	0	5	8:23	3

სარეკლამო საagენტო
კოკი და კომპანია

რეკლამის დამზადება

1. ფარების დამზადება, მოხატვა და განთავსება მოკლე ვადაში
2. განათებული აბრების დამზადება
3. ფერადი წებოვანი რეკლამები
4. სარეკლამო საათებზე რეკლამის განთავსება

კომპიუტერული მომსახურება

ესკიზების, ბუკლეტების, სავიზიტო და მოსაწვევი ბარათების დამზადება

25% ფასდაკლებით!!!

მისამართი: ალ. ყაზბეგის 42
ვაჭრობის სამინისტრო, 2 კორ. 3 სარ.

ტელ. 95 96 56

ჩოგბურთი

განუთესავთა ფინალი

US OPEN
AUSSA KVENT

დაბადების დღეზე უკეთეს საჩუქარს გრეგ რუზეიკი ვერც ინატრებდა. 24 წლის ჩოგბურთელმა ნახევარფინალში შვედი იონას ბიორკმანი დაამარცხა 6:3, 3:6, 3:6, 6:3, 7:5 და ფინალს უწია. არადა, გრეგის თამაში ნახევარფინალამდე სათუოდ იყო — იგი გაცივდა და თავს შეუძლოდ გრძნობდა. ბრიტანელი ავადმყოფობას არ შეეპუა და მიაკითხა ექიმს, რომელიც თავის დროზე ცნობილ იტალიელ ტენორს ლუჩანო პავაროტის მკურნალობდა. მისი დახმარებით გრეგი მომჯობინდა და თამაშის დღეს, როცა ინგლისში პრინცესა დაიანას კრძალავდნენ, უკვე ჯანზე იყო და მის პატივსაცემად შავი სამკლაური ეკეთა. მატჩის შემდეგ გრეგმა განაცხადა, ამ მძიმე დღეს თამაში ერთობ მიჭირდა, მაგრამ გულშემატკივართა სატელეფონო ზარებმა მიმახვედრა, რომ ბიორკმანთან დამარცხების არანაირი უფლება არ მქონდაო.

ვილიამსის სიცილი ჰინგისთან შეხვედრამდე

თამაში მან მართლაც ბრწყინვალედ დაიწყო. II წუთი არ იყო გასული, ანგარიში უკვე 4:0 იყო რუზეიკის სასარგებლოდ. შვედმა მის განმგმირავ ეისებს ვერაფერი მოუხერხა. თუმცა, მერე გრეგი მოეშვა, იონასმაც საქმეს ხელი მოჰკიდა და როცა მესამე სეტი გაასრულეს, 2:1 იგებდა. ამან რუზეიკი გამოაფხიზლა და დაიწყო მართლაც საოცრება. ჩოგბურთის სპეციალისტები ამ თვალწარმტაცი ნახევარფინალის მერე ერთხმად ამტკიცებდნენ, რუზეიკის ამგვარი თამაში აქამდე არ გვინახავსო. ცნობილმა ჩოგბურთელმა ჯონ მაკინროემ კი თქვა, გრეგის თამაშმა ახალგაზრდობა გამახსენაო. მანვე ჩოგბურთელს საჯაროდ მიულოცა 24-ე დაბადების დღე. გრეგის მწვრთნელმა ბრაიან თინერმა, რომელმაც წელიწადნახევრის წინ დაიწყო ყველასათვის უცნობი ჩოგბურთელის წვრთნა, განაცხადა, მისი გაცნობისთანავე მივხვდი, დიდი სლემის ტურნირების მოგება რომ შეეძლო, გამარჯვებებს, მართალი გითხრათ, ველოდი, მაგრამ ასე უცებ და თანაც აშშ-ში თუ იყოჩაღებდა, არ მეგონაო. თავად რუზეიკის თქმით, მართალია, ინგლისში ხალხს დღეს არ ეჩოგბურთება, მაგრამ მსურდა, მათ დაღვრემილ სახეებზე დროებით მაინც დამენახა სიხარულიო.

მეორე ნახევარფინალში კი აშშ-ის ღია პირველობის მოგების უპირველესმა კანდიდატმა მაიკლ ჩანგმა ყველასთვის მოულოდნელად წააგო. ამ არაამერიკელი წარმოშობის ყმაწვილს წინასწარ ასახელებდნენ გამარჯვებულად, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც სამპრასი და აგასი გავარდნენ. თუმცა, წინასწარმეტყველთა ვარაუდი არ გამართლდა — ჩანგს ავსტრალიელი პატრიკ რაფტერი გადაეღობა, რომელმაც მეტოქე 6:3, 6:3, 6:4 სძლია. თავად მაიკლი სამივე სეტის წაგებას არ მოელოდა. აკი თქვა კიდეც დღეს პატრიკს მე კი არა, ვინც არ უნდა დგომოდა წინ, ყველა წააგებდაო. ბოლოს სევდაშეპყრობილმა დასძინა, მეგონა, ტურნირს მოვიგებდი, ეაგლახ, რომ ვცდებოდიო. ჩანგი 25 წლისაა. საუკეთესო ჩოგბურთელთა ათეულშიც სტაბილურდაა, მაგრამ 1989 წელს საფრანგეთის ღია პირველობა რომ მოიგო, მას შემდეგ დიდი სლემის ტურნირებში ალარ უმარჯვია. მისი მეტოქე კი კენ როზუელის შემდეგ პირველი ავსტრალიელი გახდა, აშშ-ის ღია პირველობის ფინალს რომ მიაღწია — 1974 წელს კენმა იმ დროს უძლეველ ჯიმი კონორსთან წააგო.

რაფტერი გამარჯვებამ ერთობ გაახარა. პატრიკი უფრო იმან აღაფრთოვანა, რომ გაცილებით ძლიერი მეტოქე დაამარცხა, რომელთანაც შვიდი პირადი შეხვედრიდან ხუთი წააგო. „ეს დღე ჩემთვის დაუვიწყარი იქნება. არა აქვს მნიშვნელობა, ფინალს მოვიგებ თუ არა, მე მაინც ნასიამოვნები დავრჩები. არ მეგონა, წელს ნახევარფინალამდე თუ მივიდოდი, მაგრამ ეს შეეძელი და ბედს სრულიადაც არ ვემდური. ისე კი, მაიკლის წინააღმდეგ დღეს არნახულად ვითამაშე“ — განაცხადა ბედნიერმა გამარჯვებულმა, რომელიც ახლა ფინალში მასსავით განუთესავ რუზეიკის შეხვდება და ჩემპიონისთვის განკუთვნილ 650 ათას დოლარიან საპრიზო ჩეკს გაითამაშებენ.

განუთესელ ვაუებს არც ქალები, უფრო სწორად, ქალი ჩამორჩა და ფინალს კიდევ ერთმა განუთესავმა, არაორდინალური ვარცხნილობით გამორჩეულმა ზანგმა ვინუს ვილიამსმა უწია. მეორე ფინალისტი კი უძლეველი თინეიჯერი, ისტორიაში ყველაზე პატარა №1 საუკეთესო ქალი ჩოგბურთელი მარტინა ჰინგისია. ლოს ანჯელესში დაბადებული და აღზრდილი ვინუსი 17 წლისაა, შვეიცარიელ მარტინას კი ერთ თვეში ამდენივე შეუსრულდება. სხვათა შორის, აშშ-ს ღია პირველობას ასეთი ახალგაზრდული ფინალი არ ახსოვს.

გადამწყვეტ მატჩში უცილობელი ფავორიტი, ეჭვგარეშე, ჰინგისია. მან წელს 64 მატჩიდან მხოლოდ ორი წააგო, ორ მილიონ დოლარზე მეტი მოიხვეჭა, ათზე მეტი ტურნირი მოიგო და, რაც მთავარია, მეტოქეთ შიშის ზარს სცემს. აგვისტოს დასაწყისში ლოს ანჯელესის ტურნირის ნახევარფინალში მან ოლიმპიურ ჩემპიონ, გიგანტ ლინდსი დევენპორტთან წააგო. ეხლა კი შური იძია — 6:2, 6:4. მეტოქე თავზარდაცემული იყო მარტინას სიძლიერით და სასოწარკვეთილმა განაცხადა, მაგის მომგები არ ჩანს, ადრე როგორ დავამარცხე, ძლიერ მიკვირსო. მარტინამ კი თავისი გამარჯვება ასე ახსნა: როცა მოგება გინდა, მეტოქე ათი თავით რომ გჯობდეს, უცილობლად იძარჯვებო. „ლინდსი კარგი ჩოგბურთელია, თუმცა, ნაკლოვანებები, როგორც ყველას, მასაც აქვს. ეგეც არ იყოს, ვგონებ, ურიგოდ არ მითამაშია. ძლიერ მინდა, ტურნირი მოვიგო. საფრანგეთში რომ არ წამეგო (ფინალში ივა მაიოლისთან), დიდი სლემის მოგებაც შემეძლებოდა. თუმცა, ეგ არაფერი, ჯერ 16-ის ვარ, წინ კი უამრავი წელი მელის!“ — განაცხადა ჰინგისმა.

ვინუს ვილიამსი — 17 წლის ამერიკელი, რომელმაც გამოჩენისთანავე მიიპყრო საჩოგბურთო საზოგადოების ყურადღება, ცნობილია კარგი თამაშით და... თმებით. ვინუსის დაწნული თმებს, ძნელი დასაჯერებელია, მაგრამ არც მეტი, არც ნაკლები, 1800 თმისსაბნევი იჭერს.

ფინალში გასვლით ვინუსი პირველი განუთესავი ქალი გახდა, 1968 წლის შემდეგ, ანუ აშშ-ის ღია პირველობაში მხოლოდ პროფესიონალების დაშვების მერე ამ ეტაპს რომ უწია. ვილიამსი ასევე 1984 წლის შემდეგ ფინალში გასული პირველი ამერიკელია. ნამდვილი ამერიკელი იგულისხმება, თორემ ამერიკელობამიღებულ სელეშს 90-იან წლებშიც უთამაშია აშშ-ის ღია პირველობის ფინალში. პარასკევს ნახევარფინალში ვინუსმა რუმინელი ირინა სპირლეა სძლია — 7:6, 4:6, 7:6, რითაც პირველად გავიდა დიდი სლემის ტურნირის ფინალში. ისე, აშშ-ის ღია პირველობა მისთვის დიდი სლემის მესამე ტურნირია. თავად ვინუსმა განაცხადა, ირინასთან პაექრობა ძლიერ გამიჭირდა, მაგრამ მასთან თამაშისას უკვე ფინალზე ვფიქრობდიო. „ეს ჩემთვის უმნიშვნელოვანესი მოვლენაა ცხოვრებაში, რადგან ასეთი დონის ტურნირის მოგების შანსი პირველად მეძლევა. თანაც მეტოქედ მსოფლიოს პირველი ჩოგბურთელი მყავს. მასთან ადრე ორჯერ დავმარცხდი, მაგრამ ახლა, ვგონებ, ჩემი დროც დადგა. უსაკვდილოდ უნდა მოვიგო. მთელი ძალით ვითამაშებ. ერთი იმაზე მწყდება გული, მამაჩემი რომ არ იქნება ტრიბუნაზე“ — თქვა ვილიამსმა.

მამამისი რიჩარდი კი, რომელიც ამავდროულად მისი მწვრთნელია, ამერიკის მეორე ბოლოში, ფლორიდაში გამგზავრებულა, შინ ძაღლი მარტო დატოვეთ, მოვალ სჯირდებაო.

ავთანდილ სვანიძე

ავტორბოლა

ფორმულა 1
XIII ეტაპი
იტალიის დიდი პრიზი

მოულოდნელი ტრიუმფი

დევიდ კულჰარდი

გუშინ „მონცას“ ლეგენდარულ ტრასაზე ბრიტანელმა დევიდ კულჰარდმა თავის კარიერაში მესამე გამარჯვება იზეიმა, „მაკლარენ-მერსედესს“ კი წლეულს მეორე პირველი ადგილი მოუტანა. ჟაკ ვილნევმა, რომელსაც ჰაერივით სჭირდებოდა აქ გამარჯვება, ვერაფერი გააწყო და მეხუთემ გადაკვეთა ფინიშის ხაზი, თუმცა, თავის უშუალო მეტოქეს მიხაელ შუმახერს მაინც აჯობა და საერთო ჩათვლაში სხვაობა 10 ქულამდე შეამცირა.

რბოლის დაწყებამდე 1 საათით ადრე ფია-ს წარმომადგენლებმა კვლავ „გაახარეს“ ვილნევი. მათი განცხადებით, ჟაკმა კვირა დილის ვარჯიშზე ყურადღება არ მიაქცია ყვითელ გამაფრთხილებელ ალმებს. ეს მან ამ სეზონში მესამედ გააკეთა და ერთი რბოლით დისკვალიფიკაციასაც გამოჰკრა ხელი. ვილნევმა სასჯელი 9 რბოლის განმავლობაში, ესე იგი, სეზონის ბოლომდე ანაც მომავალი ჩემპიონატის პირველი ოთხი რბოლისას უნდა მოიხადოს. სეზონის ბოლომდე რბოლის გამოტოვება ვილნევისთვის შესაძლოა საბედისწერო გახდეს, ეს მას კიდევ უფრო გაურთულებს პირველობისთვის ბრძოლას.

სტარტზე პოლის მფლობელმა ალეზიმ პირველობა არ[illegible]ვის დაუთმო და მალე 1 წამითაც დაწინაურდა. შესანიშნავად დაიწყო რბოლა კულჰარდმა, რომელმაც ტრასის მარჯვენა კიდით წინ მდგომნი ჩამოიტოვა და მე-6 სასტარტო პოზიციიდან მე-3 ადგილზე გადაინაცვლა. მის უკან ფიზიკელა, ვილნევი და ჰაკინენი მოეწყვნენ. მეორე წრეზე ალეზიმ საუკეთესო დრო — 1.27,377 აჩვენა და ფრენცენი 2, 552 წამით ჩამოიტოვა. გერმანელს 0,405 წამით ჩამორჩებოდა კულჰარდი და შეტევისთვის ემზადებოდა, მისი თანაგუნდელი ჰაკინენი კი ვილნევს კვალდაკვალ მიჰყვებოდა. რბოლამ პირველი დანაკლისი მე-4 წრეზე განიცადა: დინიცმა ასპარეზობა შეწყვიტა. მერე წრეზე კატაიამამ მოსახვევში „მინარდი“ ვერ დაიმორჩილა და მარცხენა საბურავით ბარიერს წამოედო. იაპონელი ბოქსებში შევიდა, მაგრამ მექანიკოსებმა აბოლებულ მუხრუჭს ვერაფერი მოუხერხეს.

შემდეგ ფიზიკელამ დაამყარა წრის რეკორდი და ოდნავ მოწყდა ვილნევს. ამასობაში მოასპარეზეთა ბოლიდებს საწვავი შემოაკლდათ, შემსუბუქდნენ და „უილიამსის“ ბიჭებიც უფრო ლაღად ამოძრავდნენ. როგორც ჩანს, ამ გუნდის ბოლიდები საწვავის მცირე მარაგით უკეთ გამოიყურებიან. დისტანციის მესამედიც მიილია და შედარებით სუსტძრავიანმა გუნდებმა, რომლებიც სიმსუბუქის ხარჯზე ცდილობენ სიჩქარის გაზრდას, ბოქსებს მიაშურეს.

რბოლის ლიდერსა და მის მდევრებს შორის მანძილი თანდათან მცირდებოდა და 25-ე წრეზე ალეზის უპირატესობა 0, 405 წამსლა შეადგენდა, ფრენცენი კი 0,5 წამს უგებდა კულჰარდს. ამ სამეულს სამოდე წამით ჩამორჩებოდნენ ფიზიკელა - ვილნევ - ჰაკინენი, რომელთა შორის სხვაობაც 0,6-0,7 წამი იყო. ლიდერთა ექვსეული კი 10-12 წამს უგებდა მე-7-ზე მყოფ შუმის.

მოწინავეთაგან ბოქსებში პირველი ვილნევი შევიდა — 11 წამი, მას ფრენცენი მიჰყვა — 10,3 წამი და ორივე ექვსეულს მიღმა აღმოჩნდა. ფიზიკელას პიტსტოპის შემდეგ კი მე-3-ზე ჰაკინენმა გადაინაცვლა და თანაგუნდელს ზურგი გაუმაგრა.

32-ე წრის შემდეგ ალეზი და კულჰარდი ერთდროულად ეწევნენ ბოქსებს, იქიდან კი ბრიტანელი უფრო ადრე გამოუშვეს, ვიდრე ჟანი.

ტრასაზე დაბრუნებული ეს წყვილი მე-4-მე-5 პოზიციებზე აღმოჩნდა, მაგრამ წინ მყოფთა ბოქსებში შესვლის შემდეგ კვლავ დაწინაურდა. დაეგეგმილი პიტსტოპიდან დაბრუნებულმა ჰაკინენმა ფრენცენს შეუტია, მაგრამ პილოტს ახალმა საბურავებმა უმტყუნა. ფინელი მეორეჯერაც ეწევა ბოქსებს, იქიდან კი ათიულს მიღმა დაბრუნდა, რასაც არ შეეგუა და ნელ-ნელა ჩამოიტოვა წინ მავალნი, თანაც წრის რეკორდი დაამყარა.

33-ე წრეზე რალფ შუმახერმა ჰერბერტის ჩამოტოვება სცადა და ამისათვის ძალისმიერი ილეთიც გამოიყენა — ბრიტანელი ტრასის მიღმა მოისროლა და ბოქსებამდე მიაღწია, თუმცა რბოლა მაინც შეწყვიტა. კვლავ ძრავამ უმტყუნა დეიმონ ჰილს და მანაც აბოლებული „ეროსი“ ტრასის კიდეზე გააჩერა. ამის შემდეგ საინტერესო აღარაფერი მოხდებოდა. პირველობა რიგები ოდნავ კი შეშფოთდროვდა, მაგრამ სერიოზულად არავინ დამუქრებია ლიდერს და ასპარეზობაც მშვიდობიანად დასრულდა.

ალეძო ბაბუკიანი

7 სექტემბერი. „მონცა“

რბოლის დისტანცია 53 წრე — 305,785 კმ.

1. კულჰარდი (მაკლარენ-მერსედესი) 1:17.4,609 (238. 036 კმ-სთ)		10
ალეზი (बენეტონ-რენო) ჩამორჩა	1.937	6
ფრენცენი (უილიამს-რენო)	4.343	4
ფიზიკელა (ჯორდან-პეჟო)	5.871	3
ვილნევი (უილიამს-რენო)	6.416	2
მ. შუმახერი (ფერარი)	11.481	
ბერგერი (बენეტონ-რენო)	12.471	
ირვინი (ფერარი)	17.639	
ჰაკინენი (მაკლარენ-მერსედესი)	49.373	
ტრული (პროსტ-მუგენ-ჰონდა)	1.02,706	
ნაკანო (პროსტ-მუგენ-ჰონდა)	1.03,327	
მორბიდელი (ზაუბერ-ფერარი)	1 წრით	
ბარიჩელო (სტიუარტ-ფორდი)	1 წრით	
მარკეში (მინარდი-პარტი)	3 წრით	

რბოლას გამოეთიშნენ

ჰიელი (ეროუს-იამაჰა)	გაიარა	46 წრე
რ. შუმახერი (ჯორდან-პეჟო)		39
ჰერბერტი (ზაუბერ-ფერარი)		38
სალო (ტირელ-ფორდი)		33
მაგნუსენი (სტიუარტ-ფორდი)		31
ვერსტაპენი (ტირელ-ფორდი)		12
კატაიამა (მინარდი-პარტი)		8
დინიცი (ეროუს-იამაჰა)		4

საუკეთესო წრე

ჰაკინენი (მაკლარენ-მერსედესი)
1.24,808 (244.929 კმ-სთ) 49-ე წრეზე

პირადი პირველობა

1. მ. შუმახერი — 67 ქულა; 2. ვილნევი — 57; 3. ალეზი — 28; 4. ფრენცენი — 27; 5. კულჰარდი — 24; 6. ბერგერი — 21; 7. ირვინი — 18; 8. ფიზიკელა — 17; 9. პანი — 15; 10-11. ჰაკინენი, ჰერბერტი — 14-14; 12. რ. შუმახერი — 11; 13. ჰიელი — 7; 14. ბარიჩელო — 6; 15. ვურცი — 4; 16. ტრული 3; 17-18. სალო, ნაკანო — 2-2; 19. ლარინი — 1.

გუნდური პირველობა

1. ფერარი 85 ქულა; 2. უილიამსი 84; 3. बენეტონი 53; 4. მაკლარენი 38; 5. ჯორდანი 28; 6. პროსტი 20; 7. ზაუბერი 15; 8. ეროუსი 7; 9. სტიუარტი 6; 10. ტირელი 2.

ჰოკეი

ფინეთი — რუსეთის თავის ტკივილი

6 სექტემბერს ფინეთის ქალაქ ტურკუში, ევროპულ ჰოკეის ისტორიაში პირველად, გაიმართა მატჩი ევროპის სუპერთასზე. ერთმანეთს შეხვდნენ ევროლიგის გამარჯვებული, ადგილობრივი ტპს და ევროთასის მფლობელი, რუსეთის „ლადა“. ამ გათამაშებაში ნჰლ-ს ორ კლუბსაც უნდა ეასპარეზა. ერთერთი მათგანი ცნობილიც იყო — ვაშინგტონი, მაგრამ პროფესიონალებმა, ეტყობა, გადაიფიქრეს და მონაწილეობაზე უარი განაცხადეს. ამით სუპერთასის მნიშვნელობამ ერთობ იკლო.

თამაში ხალისიანი, თანაბარი ბრძოლით კი დაიწყო, მაგრამ ნაკლებსაინტერესო გამოდგა, რადგან გუნდებმა დაცვითი ტაქტიკა ირჩიეს. მხოლოდ მეორე პერიოდის შუაგულში გამოიცოცხლდა მაყურებელი, როდესაც მასპინძლებმა ანგარიში გახსნეს. ამას რუსების აქტიურობა მოჰყვა: ჯერ მეტლიუკმა გაათანაბრა, შემდეგ კი 17 წლის ტიურინმა საერთაშორისო ასპარეზზე თავისი დებიუტი გოლით აღნიშნა. მესამე პერიოდში წაგების საფრთხემ ფინელები გონს მოიყვანა, მათ ტემპს უმატეს, რასაც დაღლილმა სტუმრებმა ვერაფერი დაუპირისპირეს. მათი მეკარის — სერგეი ნიკოლაევის დამსახურებაა, რომ ანგარიში მატჩის ბოლომდე საყაიმო იყო (მანამდე კალიომ გაათანაბრა). ტპს-მ რამდენიმე ხელსაყრელი მომენტი გაუშვა ხელიდან, მაგრამ თამაშის დამთავრებამდე ორი წუთით ადრე მაინც მიაღწია თავისას: ვირტამ ახლო მანძილიდან გამარჯვების მომტანი შაიბა გაიტანა.

ბოლო წლებია, რუსებს ვერაფერი მოუხერხებიათ ტპს-სთვის. 1993 წელს ფინელებმა ევროთასის ფინალში მოსკოვის „დინამოს“ მოუგეს, იგივე დინამოელები ევროლიგის პირველი გათამაშების ფინალში იმსხვერპლეს და ახლა ტოლიატელთა ჯერიც დადგა. არადა, ახალი სეზონის წინ გუნდი შვიდმა წამყვანმა მოთამაშემ დატოვა. თუმცა, ისიც უნდა ითქვას, რომ ბოლო ორ შეხვედრაში ფინელები შინ ასპარეზობდნენ, რაც, კაცმა რომ თქვას, უსამართლობაა. საინტერესოა, რომ ტპს-ს რუსეთის ოლიმპიური ნაკრების მთავარი მწვრთნელი ვლადიმერ იურზინოვი თავკაცობს. მის გუნდში 4 ექსსაბჭოელია: რუსები — კუდაშოვი და სკოპინცევი, ესტონელი სუურსოო და ლატვიელი სკრასტინში.

ბოლოს დაეძენთ, რომ ჰოკეის საერთაშორისო ფედერაცია პროფესიონალების მიწვევის იმედს მაინც არ ჰკარგავს — წლევანდელ სეზონში ხომ ევროთასი ალარ გათამაშდება, მას მთლიანად ევროლიგა შეცვლის, რომელიც 16 სექტემბერს დაიწყება. სუპერთასის ასეთი სახით ჩატარებას კი ყოველგვარი აზრი დაეკარგება.

სამველ ღარიბიანი

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოდის
ორშაბათობით, სამშაბათობით, ხუთშაბათობითა და შაბათობით

მთავარი რედაქტორი
ზურაბ ფოცხვერია

რედაქტორი
თამაზ მიბრიაული

სარედაქციო კოლეგია:
ილია ბაბუნაშვილი
ვახტანგ ბზიკაძე
ზაალ ბიბინეიშვილი
ზურაბ მეძველია

ფეხბურთის განყოფილება:
ლაშა გოდუაძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, მერაბ მამულაშვილი, ონისე შინჯიკაშვილი

სხვა სახეობათა განყოფილება:
ერეკლე კიკილაშვილი, ილია მხეიძე, ავთანდილ სვანიძე, ლევან ჯავახიშვილი

კორესპონდენტი ჭუთაისში
იუზა კაციტაძე

კორესპონდენტი ლონდონში
დავით მჭედლიშვილი

ფოტორეპორტიორები:
გურამ დოლენჯაშვილი
ბადრი კეთილაძე

სტილისტები: მაია აბზიანიძე, ნათელა გიორგობიანი

კომპიუტერული ცენტრი:
ინგა აკოფაშვილი, ნინო დევაძე, სვეტა დევაძე, ვანო კიკნაძე, ირმა მშვენიერაძე, ლევან ჩხეიძე, ბელა ხატიაშვილი, გურამ ხელაშვილი

გამომშვები ზურაბ ინაშვილი

დირექტორი
გიორგი ოქრომჭედლიძე

დამფუძნებელი: შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება — საგამომცემლო ფირმა „მარდი“

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული. საფოსტო მისამართი: თბილისი - 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29